

გაზეთის ფასი:

გაზეთით.		გაზეთზე.	
ერთი წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.	
ნახევრის წლისა	3 „ „	2 „ 50	
ნახევრის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50	
ერთი თვისა	— „ „ 60	„ „ 50	
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10	

განცხადებანი, «დროშაში» დასა-  
ბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი გან-  
ცხადებისა: ხუთგზისა სხვაგვარად, სტრუქტურაზე  
4 კაპ. და ასო-მოხატულებით—ასოზე 1/4 კაპ.

# დროშა

სედი-მარტი

მიიღება თფილისში: დროშის რე-  
დაქციის კანტონში (გ. წერეთლის და ამს.  
სტამბაში, ბეჭედივის სახლში).  
ქუთაისში: გერმანიის ქაჯანდაძის  
შვილის (სახელწოდება სხვაგვარად).  
გარეშე მცხოვრებთა შედგენილად რუ-  
და გამოცხადებანი მოთხოვნილება:  
Въ Тифлисѣ. Въ конторѣ редакцiи  
изданы ВРЕМЯ, при типографiи Г.  
Церетели.

გამოცემის კვირაში ერთხელ, ზარსკეობით.

## საქართველო და საქართველო გაცხეთი

წელიწადი მერვე

### შინაარსი:

საქართველო: კიდევ აღსანიშნავი არსებ-  
ზე.—წერილი ამბები.—«დროშის» კორ-  
რექციონი: სხვაგვარად.—რუსეთი:  
წერილი ამბები.—რუსეთი: სხვაგვარად.—  
საფრანგეთი.—სხვაგვარად.—სამარტო: ბობრეგ-  
ნიკოვსის საქმე.—ნაკვეთი.

ფელტონი:—წერილი შეტყობის-  
და.—დ. გარეგნული.

### საქართველო

#### კიდევ აღსანიშნავი არსებზე

ვინც ამ უკანასკნელს დროში ჩვენს სა-  
ზოგადო ცხოვრებას დაკვირვებია, ადვილად  
შენიშნავდა, რომ დროთა ცვლილებამ ცოტა  
არ იყო ჩვენს უმოდრავს ცხოვრებაზე და  
კიდევ უფრო უმოდრავს ტვირთს თავის ზედ-  
მოქმედება იქონია. ამ უკანასკნელ დროებამ-  
დი თქვენ ისეთს ქართველს ვერ შეხვდებო-  
დით, რომელსაც შეძლებოდა იმის გაგება,  
რომ იმის ეხლანდელი ცხოვრება ნამდვი-  
ლი კაცური ცხოვრება არ არის, რომ იმის

ეხლანდელი მეურნეობამ, იმის უმოქმედო-  
ბამ და მუდამ არხინათ ყოფნამ—დიდი ხა-  
ნია მოქმედა თავის წუთის სოფელი; ვერ ვაი-  
გებდა, თუ სხვა რამე საქმისთვის შეეძლო  
ხელის მოკიდება და სხვანაირად ეცხოვრა.

ეხლა კი ჩვენში თან-და-თან ისმის უკმაყო-  
ფილება ძველებურ ცხოვრებას წესზე, ძველე-  
ბურ მამა-პაპეულ მეურნეობაზე და აქა-იქ  
სხანს ხელის განძრევის სურვილი, რომ ეს  
შევიწროებული ცხოვრების წესი შესცვალონ  
და დადგენ იმავე გზაზე, რომელზედაც სხვა  
უფრო დაწინაურებული ხალხები დგანან და  
რომელზედაც, უეჭველია, ერთ დროს ჩვენც  
უნდა დავდეთ.

ამ სიტყვების დასამტკიცებლად, ჩვენ რამ-  
დენიმე მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგ-  
რამ დღეს მხოლოდ ორს მოვიყვანთ: სადა-  
გილ-მამულა ბანკის გამართვაზე შეცადინე-  
ობას და ალანშიდამ არხების გაყვანას. პირველ  
ამათგანზე ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე ყო-  
ფილა ლაპარაკი და ამიტომ დღეს ამასვე არას  
ვიტყვი. ეხლა მხოლოდ ალანშიდამ არხების  
გაყვანაზე ვიტყვით კიდევ რამდენსამე სიტყ-  
ვას.

თუმცა ამ წლის «დროშის» მეათე ნომერ-

ში დაბეჭდილი იყო შემოკლებული პროექტი  
იმაზე, თუ როგორ უნდა შესდგეს ამ საქმი-  
სათვის აქციონური საზოგადოება და რა უფ-  
ლება და მოვალეობა ექნება ამ საზოგადოე-  
ბას, მაგრამ დაწერილობით ლაპარაკი საზოგა-  
დოდ ამ საგანზე და განსაკუთრებით შემოხვე-  
ნებულ პროექტზე დღესაც შეუძლებელია  
ჩვენთვის, რადგან ამ საქმის მოთავენი ჩვეუ-  
ლებრივის სიჩუმით მოქმედებენ და არც ის  
ვიცი, ამ პროექტს აქვს რამე მნიშვნელობა  
თუ არა.

მაგრამ, როგორც მდგომარეობაშია უნდა  
იყოს ეს საქმე, ჩვენ მაინცა და მაინც უნდა  
ესთქვათ, რომ: 1) რადგანაც არხის გაყვანას დი-  
დი თავნი მოუწოდებდა, ამის გამო კამპანიის  
შედგენა აუცილებელია საქართველო; 2) მოთა-  
ვენი, ანუ კამპანიის შემადგენელი უსათუოდ  
ქართველები უნდა იყვნენ; აუცილებელია  
საქართველო, ვეცადოთ, ისეთი მონაწილენი არ  
ჩამოვრიოთ ამ საქმეში, რომელთაც მხოლოდ  
თავის ჯიბე ექნებათ მხედველობაში და ამის-  
თვის საზოგადო სიკეთისა და კეთილდღეობის  
ფებ ქვეშ გაქეფვა არაფრით არ მიჩნით,—  
და 3) იმისათვის რომ ამ კამპანიაში ქართვე-  
ლები ბლოკით ჩაერივნენ და ჰქონდესთ შეძ-

ლება მონაწილეობის მიღებისა, აუცილებე-  
ლად საჭიროა, რომ აქციები იაფი ფასისა  
იყოს.

ამას გარდა შემოხვენებულ პროექტის თა-  
ობაზედ არ შეგვიძლია არა ესთქვათ, რომ  
ვასში ბევრი რამ წინასწარ თქმულია. მაგა-  
ლითად: მერვედი შემოსავლის აღება იმ მი-  
წებიდამ, რომელნიც არხებშია უნდა მოაწყოს,  
ხანგრძლივად აქციონური საზოგადოების  
არსებობისა, ფულის გაყოფა და სხვა უფ-  
ლა შეეცადოთ, რომ აღინაოროს მოუწოდებ-  
არხსა, რამდენს წელიწადს გაკეთდება, რამო-  
დენა ადგილს მოაწყოს და მხოლოდ მაშინ  
შევიძლებთ კარგად გაგებას: მერვედი უნდა  
იქნეს საზოგადოების შემოსავალი, თუ მეტ-  
ნაკლები. ჩვენ დიდის სიამოვნებით ამოვი-  
კითხეთ პროექტში ის მუხლი, რომლის და-  
ლითაც წმინდა შემოსავლიდამ რამოდენიმე  
სარგებელი უნდა დაინიშნოს კახეთში სამე-  
ურნეო შკოლის გასახსნელად.

თუ კამპანიის შემადგენელია ეს შემოხვენე-  
ბული პირობანი მიიღეს მხედველობაში, თუ  
თავის საკუთარ სარგებლობასთან, არხების გა-  
კეთების დროს, ხალხის სარგებლობაც არ და-  
ვიწყეს; მაშინ ჩვენ ეხლანდელ დარწმუნებით  
იმ უსინდისოდ და ცოდვილად მოგებული სი-  
მდიდრით, რომელიც სხვის ოფლით შეუ-  
ძენია.

რა დიდი ცოდვილი და დამნაშავე უნდა  
იყვნენ ღვთისა და ქვეყნის წინაშე ის პირე-  
ბი, რომელნიც იგივეს ქვეშარტებას და  
სცდილობენ მოძმეების დამონებას. შემწეო-  
ბის ნაცვლად, უმძიმებენ სიცოცხლეს ალა-  
მანს!

მოგა დრო, როცა ეს პირები დაიმსახუ-  
რებენ ღვთის რისხვას და საკადრის სარჯელს,  
როგორც საიქიოს, აგრეთვე აქაც. ეს დრო  
შორს არ არის. ამინ.

ასე ასრულებს თავის მოძღვრებას პატი-  
ციმული მოძღვარი.

ამ დროს ორი გლეხი იჯდა ჩემს გვერდით  
და ერთმა მათგანმა სთქვა:

— ღმერთო დაგელოცა სამართალი,  
რომ კართლის ბრძანებას უფრო პატივს  
სცემენ, ვიდრე შენსას. რატომ არ დაიქცევა  
ქვეყანა.

Значить, таперича, Шванъ Петровичъ, все отъ  
Бога, значить, исходитъ; მიუჯო მეორემ,  
გადაიწერეს პირველი და დაღონებული  
შინისაკენ წავიდნენ.

ეხლა აქაურ ყველიერზედაც მოგიწერო-  
რამი.

მასხაც, რომ შარშანდელი «დროშის»  
კორესპონდენტი იწერებოდა აქაური ბალა-  
განების ამბავს, სადაც უნახავს მრავალი სხვა  
და სხვა ქვეყნის მხედვები, და უხელ-ფეოს

### ფელტონი

#### წერილი შეტყობის-და

სასადასო ლექსები—ყველაფერი და ბლი-  
ნები—ბლანკის თეორია—ადვოკატები და  
ბლინების თეორია—გაქმნილი ღორის სორცისა  
და უ. ა. ფურცელაძის კრიტიკულ სტა-  
ტივებს შუა. ჯიბე და კარგობისა.

რასაკვირველია, თქვენც იცით, რომ აქ  
ახლა უბრალო ხალხისათვის ლექციებს კით-  
ხულობენ. ამ ლექციებში უმთავრესი ადგი-  
ლი უჭირავს საღმრთო წერილს. წასართლს  
კერაში მოძღვარმა ნ. წიკითხა ქრისტეს  
ამაღლებაზე. ჩემის აზრით, უადვილო არ  
იქნება, შემოკლებით მოვიყვანო ნიმუშათ ეს  
სიტყვა პატიციმული მქადაგებლისა. ქრის-  
ტე ამაღლდა, სთქვა მოძღვარმა, და დაგვი-  
ტოვა ჩვენ თავისი სწავლა და კანონები,  
რომელთაც უნდა აღამაღლოს კაცის სული,  
გული, ზნეობა და გონება; რომელთაც უნდა  
გამოიყვანოს მთელი კაცობრიობა სიბნელის  
და ცხოველურის ცხოვრებიდან და რო-  
მელთაც უნდა დასთესოს ხალხში ძმური  
გრძნობა და სიყვარული.

ქრისტემ გვიბრძანა, რომ ჩვენ ყველანი  
ღვთის შეიღნი ვართ, მაშასადამე ყველანი  
ძმები უნდა ვიყოთ და მეტ-ნაკლებ უფლე-  
ბას არ უნდა ვაძლევედეთ ჩვენ როგორც  
ჩვენს თავს, აგრეთვე სხვასაც ცხოვრებაში.

\*) სხვა და სხვა გარემოების გამო, ამ წერი-  
ლის ბეჭდვა ცოტათი დაგვიანდა.

ეს ჰეშმარტება გამოსთქვა უფალო შემდე-  
გი სიტყვებით: «შეიყვარე მოყვასი შენი, ვი-  
თარცა თავი შენი».

ახლა ვკითხვით ჩვენს თავს, განაგრძობს  
პატიციმული მოძღვარი, როგორ უნდა  
გვემოდეს ჩვენ ეს მოძღვრება უფლისა!

ამის განსამარტებლად ჩვენ პირველად უნ-  
და განვიხილოთ მეორე ნახევარი ამ მოძ-  
ღვრებისა: «შეიყვარე მოყვასი შენი ვითარ-  
ცა თავი შენი».

რამი მდგომარეობს თავის შეყვარება?  
თავ-და-პირველად კაცის ბუნებაში არის  
გრძნობა თავის დაცვისა (чувство самоохране-  
ния) ანუ სიცოცხლის სიყვარული. ეს გრძნობა  
არ აძინებს მას, რომ შიშშილით არ მოკედეს;  
იგივე გრძნობა ეუბნება კაცს: «ფრთხილად  
იყავი, თორემ რამე ფაფურას გადაეკიდები».  
—ამ გრძნობამ შეყვარა ცალკე პირები ერთს  
საზოგადოებაში და ერთს ხალხის ცხოვრებაში,  
ერთს ოჯახში, რადგანაც ბევრი უფრო იო-  
ლად აიცილებს თავიდან სხვა და სხვა ფაფე-  
რაკებს, ერთმანეთის შემწეობით, ვიდრე ერთ-  
თი, კენტრი კაცი. მაშასადამე თავის სიყვარუ-  
ლი გამოიხატება იმაში, რომ კაცი სცდი-  
ლობს ყოველის ღონის-ძიებით დაიცვას სი-  
ცოცხლე სანამდის შეიუძლია, ამისათვის ის  
მუშაობს, ცხოვრებს ოჯახში, საზოგადოებაში  
და ხალხში. აქიდან ცხადია, რომ ყოველი  
კაცისათვის იმოდენათვე ძვირფასი უნდა იყოს  
თავის მოძმეს სიცოცხლე, როგორც თავისი.



შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს მოთავენი ბევრ სიკეთეს შესძენენ კახეთს და იმათი ღვაწლი დაუვიწყარი დარჩება ხალხისაგან და მთელი საზოგადოების თანაგრძნობასაც დაიმსახურებენ.

ს. მ.

დამშუული ქიზიყელების შესაწევნელად, «დროების» რედაქციას კიდევ მოუვიდა სომხურიგზეთის «მელუ აიასტანის» რედაქციისაგან თორმეტი მანეთი, ბარბარე ისარლოვისაგან ერთი თუმანი, თ. გიორგი რევზის-ძის ერთ-თავისაგან — 25 მან. და ელაკაჯიბი — 84 მან. და ორი აბაზი, (ამათი სია შემდეგ ნომერში დაიბეჭდება). სულ «დროების» რედაქციაში დამშუული ქიზიყელებისათვის თვითდამე შეაკრება ორას სამოცი მანეთი და ორი აბაზი, რომელიც რედაქციამ თვითისის გუბერნიის წინამძღოლსთ. რევაზ ანდრონიკოსს, გადასცა.

წასულ «დროების» ნომერში გამოცხადებული იყო, რომ ქიზიყელებისათვის, სსკავთამონის, მდელის მანსკეტოვისაგან მივიღეთ ერთი თუმანი. ეს შეცდომით მოგვივიდა: მანსკეტოვის მგვირვით მდელელი ზეტრაკონიუვი უნდა იგულისხმოს, რადგან ამისაგან მოგვივიდა ეს შესწავლა.

ჩვენ გავიგონეთ, რომ ჩვენი მთავრობა ათასი თუმანის მიცემას აპირებდა დამშუული სიღნაღის უფლის მცხოვრებლებისათვის. ეს ამბავი მეტად სასიამოვნოა. ამას გარდა იმ კონცერტიდამ, რომელიც გასულ კვირაში იყო აქაურს მუზიკალურს საზოგადოებაში, შემოსულა ოთხმოცი თუმანი, ერთი მანეთი, ოთხ აბაზი და ექვსი კაპეიკი (801 მან. 86 კაპ). მაშასადამე დამშუული სიღნაღის უფლის მცხოვრებთ თითქმის ათასი თუმანი ექნებათ დასარიგებელი და ამ ფულებით, ყველა დამშუული თუ არა, მცირედი ნაწილი მინც მოიბრუნებს სულს. სასურველია მხოლოდ, ეს ფულები ან იმით ნაყადი ფქვილი ნამდვილ დამშუულებს ჩაუვარდეს ხელში...

კაცი, რომელიც ცეკვავდაო. უ. კორრესპონდენტი იწერებოდა ყველა ამებზე, როგორც საოცარ და გასაკვირველ ამებზე.

იქნება კიდევ საარაკო იყოს ყველა ესენი სხესთვის და სხვაგან, მაგრამ ჩვენი არა მგონია, რადგანაც ჩვენ ყოველ დღე ეხედვით როგორც ვარეგანს, აგრეთვე შინაურ მხეცებსაც, რქოსანსაც და ურქოსაც, ეშვოსანს და უტბილოსაც. რაც შეეხება უხელფეხო კაცს, არც ეს გავაკვირებდა, რადგანაც ჩვენში არათუ უხელფეხო კაცები ცეკვავენ, არამედ ბევრი უთაონიც გადადიან მაღალს, განსაკუთრებით ლიტერატურულს ასპირანსზე.

იგივე კორრესპონდენტი იწერებოდა, რომ აქ, პიტერში, ყინავზე ცოცხალი მთელი ყველიერის და ზამთრის განმავლობაში, მოხუცი, ყრმა, ვაჟი და ქალიო. ამ მოძრაობას ავტორი გვიგერურობს მნიშვნელობას აძლევდა.

მართლა გითხრათ, აქ ცოტა ოდენი გასაოცარი საქმე არის, ხოლო ახლა და არა მაშინ, ე. ი. შარშან, როცა კორრესპონდენტი იწერებოდა ამ ამბავს; ახლა, როცა ეს გვიგერურობს მნიშვნელობა ცოცხალი განმარტა ერთმა გამოჩენილმა ექიმმა.

ერთმა შესანიშნავმა ექიმმა შენიშნა, რომ ყველიერში უფრო ბევრი დამწამევი გროვდება სასამართლოებში, ვიდრე სხვა დროს. ბევრის გამოკვლევის და ფიქრის შემდეგ, ნახა, რომ ამის მიზეზი ბლინები ყოფილიან. რას იტყვიოთ ამაზე: ხომ საარაკო საქმე არ არის ამ ბლინებს ამბავი? დიან შესანიშნავი ანბავია. აი, რას ამბობს უ. დოკტორი:

ბლინები ძნელი მოსანელებელი არის კა-

«თერგის უწყებები» სწენ, რომ პირველი იანვიდამ ვლადიკავის ტიზორიფის ასო-ამწეობებს შეუდგენათ საზოგადოებას და თავისათვის ცალკე პატარა პანკის გამართვას აპირებენ. ამ პანკის დანიშნულება ის იქნება, რომ გაჭირვების დროს დაქმნაოს თავის წევრებს და შემდეგ, თუ საქმე გარდაეწევა, ქალაქსა და სხვა ტიზორიფის მასალებს დასაბრებს და ამ ხანებით ვაჭრობას გამართვენ.

სემსონსკიბუღივე გასული გვანობებს ერთს მღვირ სისამოვნო ამბავს: იქაურს ტიზორიფისაში ამ ვამად ორი ქალი მუშაობს თურმე ასო-ამწეობებს, ერთი ქმრისა და მეორე ვაჟისაგან. გასული ამბავს, რომ ამ ქალებმა ძალიან ძალე და კარგი გაიყოს სტამის ხელაბო და გულისმოდებოდა მუშაობინო. მუშა-კაცებიც წარდგინებოდა უმუშაობის იმთა და, თუ დასკვრდებათ, კადეც ესმარებინო.

«დროების» კორრესპონდენტი

სვანეთადამ, მარტის 10-ს.

მე მსურს ავიწეროთ დღეს ერთი ისეთი ჩვენებური ჩვეულება, რომელსაც საზოგადოთ ჩვენს მდგომარეობაზე დიდი გავლენა აქვს. მე ვამბობ სვანეთში ცოლის ყიდვის თაობაზე.

ეთქვათ, ერთს სვანს დაებადა ქალი და ამ დროსვე მეორეს ჰყავს ვაჟი ცოლ-დაუნთა-ვი. ვაჟის მამა, სანამი მონათლენ ქალს, წაიღებს ჩვირში ვახვეულს ტყუიასა და შებამს ქალის ავეანს იმ განზრახვით, რომ უკეთეს წამართვა ვინმე ვაჟის საცოლო და ან ქალის პატრონმა არ მომცა, მაშინ უსათუოდ ამ ტყვიით მოგვკლა ჩემი დამლუბველიო. როცა ქალი ზრდას დაიწევს, სიძე მიუყვანს ერთ კარგ ხარს, რომელიც უნდა იყოს იმის ფასი, რაც ქალს მოუნდება გათხოვებაში. როცა ქალი ათი-თორმეტი წლის შეიქნება და კარგი გამოვიდა, სიძე შორე-ახლო ყურს უგდებს—არავინ მომტაცაო, და თუ კი ზაბუნი გამოვიდა, საქმრო მაშინათვე მიატოვებს ამ თავის საცოლოსა და სხვას შეირთავს. მაგრამ ამ შემთხვევაში ის უნდა ელოდეს უსათუოდ სიკვდილს თავის პირველი საცოლოს

ცისათვის; მაშასადამე, თუ კაცი გაძღა ბლინებით, მაშინ მას კუჭი უმძიმდებაო, რისგამო სისხლის მოძრაობაც ცუდათ მიდის ამ დროს და აქედამ ტვინიც კარგავს ფხიზლობასო. ამ ნაირათ ცხადია, თუ რისათვის ხშირდება ყველიერში დამწამაობა.

რადგანაც ყოველი გვარი მოძრაობა, ამბობს უ. დოკტორი, უადვილებს სტომაქს საქმლის მონელებას, ამისათვის ცხადი უნდა იყოს ყოველი ლიბერალისათვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყინავზე ცოცხალს ყველიერში საზოგადოების სიმრთელებზე და ყოველი პატრიოტი უნდა სცდილობდეს, ხელი მოუმართოს ამ მარგებელ ჩვეულებასო.

ამას შემდეგ კიდევ იტყვიან, რომ მეცნიერებს სარგებლობა არ მოაქვს!

აი, ნახე, რა უთვალავი სარგებლობა მოუტანა ამ დოკტორის გამოკვლევამ ადვოკატებს და მწათობის კრიტიკებს.

ახლა ადვოკატს შეუძლია ორის სიტყვით, განათავისუფლოს თავისი ყველიერის კლიენტი.

გამობრძანდება ფრაკოსანი ადვოკატი სათვალბით, ანუ უსათვალბოთ, მსაჯულების წინ და იტყვის ღრმა ფიქრის შემდეგ:

«უფაღლო მსაჯულნო! გთხოვთ განათავისუფლოთ ჩემი კლიენტი დასჯისაგან, რადგანაც მას დამწამაობის დროს სტომაქი დამძიმებული ქონდა ბლინებით, რისგამო სისხლის მოძრაობაც ქონდა აშლილი და რასაკვირველია, ტვინიც ფხიზლად არ ექნებოდა; ამისგამო გთხოვთ მოწყალენო ხელმწიფენო, განათავისუფლოთ ჩემი კლიენტი,

პატრონისაგან, რადგანაც ქალის მიტოვებამზობლებს ძირელ სირცხვილთ მიაჩნიათ.

ქორწინების დრო რო მოაწევს, სიძემ უნდა მისცეს ქალის პატრონს ქალის ფასი, რომელიც გლენასათვის 120 მანეთის საქონელია დაწესებული და რომელსაც ეძახიან «ნაქულაშს». აწაურისწილმა კი 260 მანეთის საქონელი უნდა მისცეს. მზობლები ქალს ერთ წყვილ ტანსამოსის მეტს არაარს გაატანენ, და ამიტომ ის მუდამ საწყლად რჩება, რადგან შემდგომაც ქმარს იმან უნდა ჩააცვას და არა ქმარმა ცოლს, როგორც სხვაგან იცაინ.

თუ სასიძომ «ნაქულაში» დროზედ არ მისცა, ქალსაც არ მისცემენ. ვეარის დაწერა მოხდება იმ დამეფე რა დღესაც «ნაქულაშს» მისცემენ.

ვეარის დაწერა უმეტეს ნაწილად სახლებში მოხდება ხოლმე და არა ეკლესიებში; ამ დროს ქალი დიდ პატივს ითხოვს და არ უნდა ვეარის დაწერა: ის ხან ტანტს ქვეშ შეძერება და ხან კარში ვეარდება და იმალება. მართლაც ზოგიერთებს ძალიან მცირეწლოვანს დაწერენ ხოლმე ვეარს. ვეარის წერაზედ ორ კაცს უკავიათ ხელში სატყვეები და უქნევენ ცოლ-ქმარს; მათის აზრით, ამ დროს ეშმაკი მოგვარ და რადგან სატყვეებს უქნევენ, ვეღარ მოეკარებაო; რამდენ ვეარაც მღვდელი კვერქის იტყვის, იმდენ ვეარ დაქარავენ ბეჭებზე.

ამ გვარი ჩვეულებისაგან ჩვენში ძალიან ბევრი უბედურება ხდება. 1867 წელს, ერთს აწაურიწილის მამა მოუკვდა, რომელსაც ღარჩა შეილები პირველი ცოლიდგან; სხვათა შორის უფროსი შეილი ღარჩა უცოლოთ და ცოტა ხანს შემდეგ, ამან დაიწერა ვეარი თავის დედის-ნაცვალზე, რადგან ამას აქაურების ჩვეულება არ ეწინააღმდეგება. შემდეგ რამდენიმე ხანის ამ კაცს მოუკვდა თავის საშუალი ძმა, რომელსაც ღარჩა ახალნათხოვარი ცოლი; მაშინ იმან მიატოვა თავისი

რადგანაც მართლ მსაჯულება ავთ მყოფს არჩენს და არა სჯის.»

ამაზე გაიღიმებენ მსაჯულები, გაიღიმებს ადვოკატიც და რასაკვირველია, სტომაქ-დამძიმებული და ვიბე-გამჩატებული კლიენტიც.

მაშ კუჭს ცილს სწამებენ, როცა იტყვიან ამაზე ხოლმე «კუჭი კაცის მტერიოა.» კუჭმა ქვეყანა დააქაოა, რადგანაც კუჭმა, და განსაკუთრებით დამძიმებულმა კუჭმა, ადვოკატს გული გაუხარა, კაცი დასჯას ააცილია და მისხანე მსაჯულებს ღიმილი მოჰგვარა.

თუმცა ჩვენშიაც აქვს ყველიერს დიდი პატივისცემა, მაგრამ, ფიქრობდ: ჩვენში ღმერთს არც ბლინები და არც ყინვა გაუჩენია, მაშ ამ ექიმის თეორიას ჩვენში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს და არც ბლინებს ადვოკატებისათვის, როგორც აქ, მეტქი.

არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა შიშში ვიყავი! ვაი თუ ადვოკატებმა ვერ ისარგებლონ ბლინებით გამძღარი კუჭებისაგან თქო, მაგრამ პოეტის სიტყვებმა ჩქარა გამომიყვანეს ასეთი მწუხარე მდგომარეობიდან:

ღო ო ის ქონით გაძღეპა, მიწე ღვი-ნით ჩაფრავს! და იქვე გავრდება, თუ მიწეღსე გაჭრავს; გოტრიაღებს ღოგინსუდ, ბედს, მსწველისი იგინება და მუტელზე სელს ისგამს, სხამ ღე-ქინება. »

საზოგადოთ ქონი, და განსაკუთრებით ღორის ქონი კუჭს ამძიმებს; მაშ ადვოკატებს ამ მხრით არა უშავთ რა!

იქნება ჩვენი ადვოკატები ემღუროდნენ ჩვენებურ მუცლებს; თუ ასეა, გთხოვთ მაცნობოთ და მე, ვითარცა ლიბერალი და პრო-

ცოლი, ე. ი. დედის-ნაცვალი, და თავის რძალზე დაიწერა ვეარი.

იმავე წელში ერთმა აწაურმა წაართვა თავის მეზობელს ცოლი; და ამიტომ უწინდელი ქმარი მოკვდას შევირდა აწაურისწილის, და მართლაც ერთ საღამოს, როცა აწაურისწილი მარტო იყო, მიუხტა სახლში და დააძვრა გულში ორი ტყვიით გატენილი თოფი. გამარჯვებული წამოვიდა სახლში და შინაურებს ახარა მტრის დამარცხება. როცა ვისმესაგან მოკლულ კაცს დამარხებენ, მკვდრის პატრონები ოთხჯერ ან ხუთჯერ თოფს ისერიან, რომლითაც შეატყობინებენ თავის მტერს, რომ შეუძლიანთ მათ მაგიერი გადახდა. როცა ის შემოხსენებული კაცი დასამარხავთ წაასვენეს, მისმა მონათესაებმა ისროლეს თოფები. აწაურის ძმა მარტოხელი დარჩა და ზაბუნი კაციც იყო, ასე რომ კაცს კი არა, ბუხსაც ვერ მოკლავდა და ამიტომ რადგანაც იმას თავისი ძმის მკვლელის მოკვლა არ შეეძლო, თუმცა სისხლის ფასს აძლევდნენ, მაგრამ ის არ კადრულობდა და ამბობდა: უსათუოთ მე უნდა მოკვლიაო. ერთ დღეს იმან დაპატივა ერთი თავისი ნაცნობი კაცი, რომელიც ძირელ დაათრო და გავზავნა თავის მტერთან, რომელიც ამ დროს მწყემსამდა საქონელს და ბუდიდგან ამოღებული თოფი ვოხის მაგიერთ დაბჯენილი ჰქონდა. ამ დროს უცვათ მოხვდა მას ზურგში თოფი და იქვე წაიქცია და რადგანაც მკვლელი ახლოს იყო, წაქცეულმა კიდევ მოასწრო თოფი და დააძვრა იმასაც გულში და თავის მკვლელიც თანვე წაიყვანა.

აქედამ გაიგებთ თქვენ, თუ რამდენი კაცი იხოცება ამგვარ ჩვეულებით ჩვენს სვანეთში და რამდენი სიღარიბის და გასაქირის მიზეზი მიადგება საწყალ ღარჩს კაცს, რომელსაც არ შეუძლია, არამც თუ ცოლის ყიდვა, არამედ დღიურ ღლეკმასაც ვერ პოულობს...

დახარე დაღუნა

გრესისტი, ვეცდები ბლინები შემოვიღო ჩვენს საზოგადოებაში და მით დავიმსახურო სახელი უცვლადებისა!

ერთმა ჩემმა ნაცნობმა ადვოკატმა მომწერა: «ჩვენი საზოგადოება საშინელი ზანტი რამ არის: თავის საკუთარი საქმისთვის ვერას გზით ორ ბისტაც ვერ გამოამეტებინებ. ამის გამო მე ვხლა ადვოკატობას შეუდექი; იქნება ამ გზით გამოვსტყუო საზოგადოებას ფულები და ვერე მასვე მოვახმარა. როცა ნებით არ გაძღევენ, ხერხს უნდა მიმართო!»


ამის შემდგომ, მითხარიოთ, როგორ არ ვეცადლა ჩვენში ბლინების გავრცელებას!

აქ, ამ მოკლე დროში, ერთმა სწავლულმა წარმოადგინა უნივერსიტეტში, ერთი ისტორიული თხზულება, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ისეთი სხეულია, როგორც კაცის გვამიო, ე. ი. მას აქვს ყოველი გვარი სხეულის ნაწილები: ხელი, ფეხი, თვალი, პირი და სხვა, როგორც კაცსაო. მაგრამ ჩემის აზრით, ეს მეცნიერი ცოტა ოდენათ შემცდარი უნდა იყოს, რადგანაც მე ვერსად ვნახე ამ სახელმწიფოს სხეულში ერთი უსაქიროესი ორგანოთავანი, ურომლოთაც კაცს ჯდობა არ ეცოდინებოდა, მაშასადამე არც სკამები და არც სტოლები გვექნებოდა, მაშასადამე არც ასეთი ნიქიერი მეცნიერი გვეყოლებოდა.

ამისათვის ვიიხებ: ივინ ასრულებს სახელმწიფოში ამ ორგანის დანიშნულებას? კაცი ხმას არ მცემს!! იქნება ისეთი მეცნიერები ასრულებენ, როგორც.....

გარკველია

შეტკრწოღი, 17 თებერვაქს.



# რუსეთი

ამ უკან ასწავლ დროს ზოგიერთ რუსულ გა-  
ზეთში სწორდნენ იმის თაობაზე, რომ რუსეთის  
უნებურსიტეტების წესდებულება უნდა შეიც-  
ვალასო; ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი  
ისეთი მუხლები აღმოჩნდა ძველ წესდებუ-  
ლებაში, რომელსაც შეცვლა აუცილებლად  
სჭირიაო. «რუსის უწყებებიდან» ვტყობი-  
ლობთ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის რჩე-  
ვას ამის თაობაზე რამდენჯერმე ჰქონია კრება,  
მოულაპარაკნია მათ — თუ რა და რა ცვლი-  
ლებები უნდა მოხდეს მოსკოვის უნივერსი-  
ტეტის წყობილობაში და თავის აზრი უმაღ-  
ლეს მართებლობასთან წარუდგენია. სხვა და  
სხვა ცვლილებათა შორის, ერთს პეტერბურ-  
ლის გაზეთში მოყვანილი იყო, რომ უნივერ-  
სიტეტის სტუდენტებისათვის ისევ მუდრი  
დაწესდება...

გაზეთის «ბირჟის» კორრესპონდენტი იწე-  
რება მოსკოვიდან, რომ მოსკოვის უნივერ-  
სიტეტის დღესასწაულზე, სტუდენტების სა-  
სარგებლოდ, 30.000 მანეთი შეიკრიბაო.  
პირები, რომელთაც ეს ფულის მოკრება უ-  
თაგებიანთ, ცდილობდნენ ეხლა თურმე, რომ  
ამისთანა შემოსავალი ყოველ წლებით ექნეს  
მოსკოვის უნივერსიტეტს, რომ ამის შემ-  
წობით აქაურ ღარიბ სტუდენტებს ხელი  
მოუშარათ.

პეტერბურში და საზოგადოთ ყველა დიდ  
ქალაქებში, ამ დღე-მარხვის განმავლობაში,  
თეატრების მაგიერათ, საზოგადო ლექციები  
და კონცერტები იმართება. გაზეთებში იწე-  
რებიან, რომ ამ ყვამდ პეტერბურლის ზო-  
გიერთი პროფესორები, ღარიბი სტუდენტე-  
ბის სასარგებლოდ, ლექციებს ჰკითხულო-  
ბენო.

პეტერბურლის ქალაქის საგამგებოში ამას  
წინათ ყოფილა კრება პეტერბურლის და მოს-  
კოვის ვაჭრებისა, რომელზედაც ულაპარაკ-  
ნით იმის თაობაზე, თუ როგორი სასწავლე-  
ბელი უნდა გამართონ იმათ ხელმწიფე მემ-  
კიდრის სახელობაზე. ამ კრებაზე, სხვათა შო-  
რის, ვაჭრებს ამ საქმისათვის 70,000 მანეთი  
შეუკრებიანთ.

პეტერბურლის უწყებებში სწორედ, რომ  
მოსკოვის რამდენსამე შეძლებულ ვაჭრებს  
შეუდგენია კამპანია 60,000 მანეთით და ამ  
ფულებით მოსკოვში სახალხო თეატრის გა-  
მართვას აპირებენო. ამ საქმეში დიდი მონა-  
წილობა მიუღია იმ კომისიას, რომელიც  
მუშა-ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესე-  
ბლად არის მთავრობისაგან დანიშნული. ამ-  
ბობენ, რომ შემოსხენებულ კამპანიას ამ საქ-  
მის თაობაზე წესდებულება შეუდგენია, მთავ-  
რობასთან წარუდგენია და როდესაც ამ წეს-  
დებულებას დაამტკიცებენო, მერე თავის საქ-  
მეს, ე. ი. სახალხო თეატრის გამართვას  
შეუდგებიანო.

ზოგიერთების აზრით, ამ სახალხო თეატრს  
დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან იმედი  
აქვთ, რომ ამ თეატრის საშუალებით ხალხს  
ლოტობას გარდაჩევენ და საზოგადოთ  
წივობას გაუსწორებენ...

## უსსო ქვეყნები

### შუიკარია

ჟენევა, მარტის 9-ს.

ყველას ყურადღება ეხლა ესპანიაზედ არის  
მექუდული და ყველასათვის მეტად საინტე-

რესოა, რა წაირად გამოვა ეს ქვეყანა ეხლან-  
დელ მის მდგომარეობიდან. ამედევი, რო-  
გორც თქვენც იცით, უარი ჰყო მეფობაზედ  
და ამ დღეებში ისევ იტალიაში მივლიან-  
მას. ესპანელებისათვის ეს საქმე გასაკვირ-  
ველი არ არის, — ეს მეოთხე მეფე არის, რაც  
უარი უყვია და თავის ნებით გადამდგარა  
ესპანიის ტახტიდან: 1555-ში კარლოს პირ-  
ველმა ჰყო უარი, 1724-ფილიპე მეხუთემ,  
1878-კარლოს მეოთხემ და ეხლა კიდევ ეს  
არის ამედევაძე თავის წინამორბედების  
ქულა იხმარა. არც ვარეშე პირს გაუეკირდება  
ეს შემთხვევა, თუ-კი მან კარგათ იცის ეხლან-  
დელი ესპანიის მდგომარეობა. მე ჩემის მხრით  
ის უმფრო მივიჩნევ, რომ მეფემ ამდენი  
წინდახედულობა გამოიჩინა, შეიძლო ვარე-  
შობის გასინჯვა და დაფასება და თავის ნე-  
ბითვე მოაშორა უბედურობას თავი, რახანც  
ადვილი საცნობი იყო, რომ ადრე თუ გვიან,  
ნებით რომ არ ენებებია, ძალით გაგზავნი-  
დნენ თავის მამასთან ნორჩ მეფეს. ამ მდგო-  
მარეობას თითონვე კარგათ ხსნის თავის  
ეპისტოლეში, რომელიც მან კორტესებს  
გადასცა თავის მეფობიდან გადადგომის გა-  
მოსაცხადებლათ.

ჩემი წინადასტოვები იყო დაქმნუბოდე  
ესპანიის ხალხს მშვიდობიანობის და კეთილ-  
დღეობის მოსახლეობად: ამ აზრით, ჩემს ამ ცო-  
ტას ხსნის მეფობის განმავლობაში, აზრითარს სე-  
შუალება არ დამისჯავს: თითქმის ცალ-ცალკე  
ყოველი პარტი მოვიწვივე და ჩავაბრე მას სამი-  
სისტრო გაძეობა, მაგრამ ვერც ერთის ვერ წაი-  
ყვანა ჩემი სურვილისა მებრ საქმე. დამარბოდეგუ-  
დი მიწეზი რომ სხვა იყო, რომ ვეკლა ამ  
სამხელის მიწეზი ვარეშე მტერი იყო, მაშინ  
თქვენი დეტოგების აზრი შორს იქნებოდა ჩემ-  
გან; ჩემი დირსება და პარტიისება მოითხოვდა  
მაშინ, რომ ამ თავის დირსებით ამესა და კეთილ  
შობილ ხალხთან მეტე შექვიროს თავი ჩემი  
საყვარელი ქვეყნის ბედსაგუბისათვის; მაგრამ, ჩემ-  
და სამწესად, მტერი ვარეშე არ არის; მტერი  
თითონ სასელმწიფოაო არის, თითონ ესპა-  
ნიის ხალხივე არის თავის მტერა და მიწეზი ამ  
ქსლანდელო მდგომარეობისა.

არც ასე, ორიოდვე სიტყვით გამოიხატება  
ეხლანდელი ესპანიის მდგომარეობა. მარტო  
აქ მოსულ ამბებს რომ დაეჯერდეთ, მაშინაც  
შებრალების მეტს ვერას ჰპოვებ ამ ხალხისა-  
თვის: მთელი ჩრდილოეთი ესპანიისა, ეს ერთი  
წელიწადი იქნება, კარლისტებისაგან არის  
ზოგი დაკავებული და ზოგი სულ ახორბეუ-  
ლი; აღმოსავლეთსა და დასავლეთს ადგილებ-  
ში ორი-სამი თვე არ გავა, რომ რაიმე  
არეულობა არ მოხდეს ან ისევ დონ-კარ-  
ლოსის მომხრეებისაგან და ან სხვა რომე-  
ლიმე პოლიტიკური პარტიისაგან; ჯარი მე-  
ტის-მეტად ზნე-დაცემულია: სალდათები აფი-  
ცრებს აღარ ემორჩილებიან, აფიცრები თავის  
დენერლებს; ჯარში სრულებით არ მოიპო-  
ვება ის დისციპლინა, რომელიც აუცილე-  
ბელ საჭიროებას შეადგენს ყოველი რიგინად  
გაწყობილი ჯარისათვის. კოლონიები თით-  
ქმის შეუწყვეტელ არეულობაში არიან და  
კუბის საქმე ან დღეს ან ხვალ, თუ სხვებ არ  
წაიყვანეს საქმე, ამერიკასთან მოკერის უკმა-  
ყოფილებას ესპანიას; ყველა ამ არეულობებე-  
ბთან ხაზინა ერთობ მეტის-მეტათ შევიწრო-  
ვებულ მდგომარეობაში არის და არ იცის რა  
წაირად მოუაროს თავი სახელმწიფო ხარჯს.

გუშინ მოვიდა ამბავი, რომ მთელი ნახევარ-  
რი მადრიდი იარადღებო და ემზადება სამი-  
რათ ისევ თავის მოქალაქეებთან, თუ ეინი-  
ცობა რაიმე არეულობა ეინმე მოახდინაო; ამ  
წაირად გამოდის, რომ თითონ ეხლანდელი  
მართებლობის იმედიც არა აქვთ, ისე დააკარ-  
გვია ხალხს უწინდელმა უხვირო მარ-

თებლობამ ყოველწაირი წაღობა. ეს მდგო-  
მარეობა ძნელია და ერთობ ავად მოსაშო-  
რებელია თავიდან, მაგრამ ერთი კი მხარე  
ის აქვს, რომ ხალხს ადვილად აჩვენებს, თუ რამ-  
დენად შეუძლია დანაგრეობის ხალხის ბედ-  
ნიერება უწესო მართებლობაში; ესპანიის ხალ-  
ხი ეხლა მაინც ნათლად ხედავს, რა მდგომარე-  
ობამდის მიყვანა მისმა უწინდელმა უ-  
ხვირო მართებლობამ და ეხლა სხვა შემ-  
წობის მაგიერათ თავი მიაჩნება მას ამ წაირ  
მდგომარეობაში. ეხლა აღარსად დაიწყებენ  
კანდიდატების ძებნას იმ ტახტისათვის რომ-  
მელზედაც ასელის უარი სიტყვა, სხვა-და-სხვა  
დროს, ოთხმა სხვა-და-სხვა კაროლმა.

ამ მდგომარეობამ ესპანიის ხალხს, რო-  
გორც არის, ის წყარო მოაძებინა, საი-  
დგანაც ყველა ეს უბედურობა გამოდიოდა  
მისთვის: მთელი ხალხი, რამდენათაც აქ  
მოსულ ამბებიდანა სჩანს, უარს ჰყოფს  
საზოგადოთ ცენტრალიზაციას; ყველას სურ-  
ვილია, რომ სრული და ვრცელი ფედერაცია  
დაარსდეს ესპანიაში. რომელი პრინციპი  
დგანაც კი მოუვიდა ადრესი მართებლობას,  
ყველგან ის აზრი იყო წარმოთქმული, რომ  
მზათა ვართ მართებლობას დავენმართო და  
მისი განკარგულება წმინდათ ავასრულოთ  
და ვაქვს იმედი, რომ ჩვენი მოქმედება ესპა-  
ნიაში ფედერაციის დაარსებით დაჯილდოვ-  
დებაო.

საზოგადო სურვილი იმგზავდ ადგია, რომ,  
თუ რამე მოხერხდა, უსათუოდ უნდა იქნეს  
ფედერაცია და თუ არა, კაცმა არ იცის რა  
უბედურობა მოვლის ესპანიას. ისეც რომ გა-  
სინჯოს კაცმა, გადაწყვეტილად ითქმის, რომ  
თითქმის არცერთი ქვეყანა არ არის იმწაი-  
რათ მოხერხებული ფედერალურის წყობილე-  
ბისთვის, როგორც ესპანია: ჯერ რომ მისი  
მთიანი მდებარეობა განგებ ჰყოფს მთელ  
მხარეს სხვა-და-სხვა ნაწილებათ, რომელთაც  
სულ სხვა-და-სხვა ბუნებითი მოთხოვნილება  
და თვისება აქვთ. ამას გარდა თითონ ისტო-  
რიული ცხოვრებაც აშორებს მათ ერთი-  
ერთმანეთს. თითველი ამ ნაწილებთან  
ძველად შედგენდა საკუთარ სახელმწიფოს: თა-  
ვის საკუთარი მმართველობა ჰქვოდა, თავის წეს-  
დებულება, განსხვავებული ცხოვრება და ჩვე-  
ულება. მხოლოდ ამბოლოს და ბოლოს ერთ-  
დებოდნენ ხან ნებით და ხან ძალით იმორჩილე-  
ბდენ ერთი ერთმანეთს, ასე რომ ეხლა ყველა  
ეს პატარა სახელმწიფოები ერთს — შეადგენს.  
ეხლანდელი ცნობებიდან სჩანს რომ მთელი  
ესპანია 15 პროვინციით გაიყოფება, რომელ-  
თაც სულ ბევრი განსხვავება აქვთ ერთმანეთ-  
ში: ჩვეულებით, ხასიათით, ცხოვრებით და  
ენითაც. საზოგადოთ სამ ენაზედ ლაპარაკობენ  
ესპანიაში (კასტილიის, ვალიციის და კატალო-  
ნიის). ამ სამ ენაში ვალიციის ენაზედ ჩრდილო-  
ეთ დასავლეთის მხარეებში ლაპარაკობენ; ამ  
ენაზედვე ლაპარაკობენ პორტუგალიაში.  
კატალონიის ენაზედ აღმოსავლეთის მხარეებ-  
ში ლაპარაკობენ; ამას გარდა ამ ენაზედ-  
ვე (კოტათი შეცვლილი) კიდევ ლაპარაკო-  
ბენ სამხრეთ საფრანგეთში. მთელი შუაგუ-  
ლი ესპანია კი მარტო კასტილიის ენაზედა  
ლაპარაკობს. მარტო ეს სამი ენა რომ იყოს,  
კიდევ არაფერი, მაგრამ თითოეული ამ ენათა-  
განი იცვლება სხვა და სხვა კილოზედ, სხვა  
და სხვა პროვინციაში; ასე რომ ყოველ პრო-  
ვინციას თითქმის რომ თავისი ენა აქვს და  
წმინდა ამ სამ ენაზედ მხოლოდ იმ პროვინ-  
ციებში ლაპარაკობენ, რომლის სახელიც  
თითონ ამ ენებსა ჰქვია.

ამ წაირ განსხვავებას, რასაკვირველია, მისი  
შესაფერი განსხვავებული მოთხოვნილება  
მოსდევს და არცერთ ამ ხალხთაგანს არ შე-  
უძლია მართოს მეორე თავის შესხედულობისა-

მებრ და მასთანვე დააკმაყოფილოს მოთხოვნი-  
წაირი მოთხოვნილება; ვიმეორებ, რომ არსით  
მოხერხდება; ან ყოველ ადგილს იმდენი თა-  
ვისუფლება უნდა ჰქონდეს, რამდენსაც მოი-  
თხოვს მისი საკუთარი ცხოვრების გაუმჯო-  
ბესობა და მაშინ ფედერალური წყობილება  
აუცილებელია, ან და ყველა ამ ხალხებმა ერთი  
რომელიმე ხალხის წესზედ და გემოზედ  
უნდა იცხოვრონ და მაშინ დარჩება ისევ  
ადრინდელი ცენტრალიზაციური წყობილე-  
ბა — იქნება ეს მონარხია, თუ რესპუბლიკა  
სულ ერთია. ეს უკანასკნელი წყობილება  
ძრიელ გამოაშკარადა ესპანიისათვის, რომ მი-  
სი მოშორება არ მოიწადინოს ყოველმა აზრ  
გახსნილმა და პარტიისამ ესპანელებმა; მასთან  
ეხლანდელ მმართველობაში არიან თავ მოყ-  
რილნი თითქმის ყველა შესანიშნავი პირები,  
რომელიც კი ესპანიაში გამოჩენილან. ყვე-  
ლანი, რამდენათაც შეგიტყვია, ფედერალის-  
ტები არიან და ამ წაირად, თანხმად ხალხის  
სურვილისა, მათ სრული საშუალება აქვთ,  
რიგინ განხედ დააყენონ ესპანიის საქმე, რომ  
იქნება შემდგომში მაინც იხსნას ამდენი არე-  
ულობისაგან, ამ დროებისაგან დაჩაგრულ,  
ხალხი.

ქვენვამი ყველა საზოგადო ამბავი ისევ მერ-  
მილიოზედა ტრიალებს. მერმილიო, როგორც  
თქვენ იცით, ეპისკოპოსია, რომელიც აქი-  
დგან გაავდეს (უკაცრაფათ სიტყვაზედ). მე  
რომა მკითხოს კაცმა, ადრევე უნდა ემეცა-  
დინებოთ ეს მის გაგდება; რაც რომ ფერენ-  
ში არის, მას აქვთ მე მგონია ერთი ათად  
გადიქვა მისი პარტიისცემა მის ერთგულ კათო-  
ლიკებში. გამართეს ფულების მოკრება მის-  
თვის მაშინათვე და ამბობენ, რომ ვითომ  
20 ათასამდის მოუყარეს თავიო. შარშან ზაფ-  
ხულზედ, როცა ის მღვდელი იყო და მართებ-  
ლობამ ჯამაგირი აუტრძალა, მაშინ ერთმა  
პარიის კლერიკალურმა გაზეთმა Unives' მა,  
გამართა ამ წაირივე ხელის მოწერა და მაშინ  
კი ნამდელიათ 20,000 ფრანკი შეუდგა; ასე  
რომ, თუ მალე არ გამოვლია მართებლობას-  
თან საბრძოლი საქმე, უსათუოდ ამ ცოტა  
ხანში მილიონს შეკრებს.

ერთი უბედურობა ის არის, რომ ყველა აქა-  
ური კათოლიკები მისი მორჩილი არ არიან,  
თორემ უფრო კი საზოგადო ადგილს იქნე-  
ბოდა მათი უსამღვდლოესობა. ერთი პატარა  
წრე შესდგა ამას წინეთ აქ, კათოლიკების,  
რომლის მიზანი იყო, რომ ძველი კათოლი-  
კების მომხრეები გაემარელებინათ აქ და თუ  
შესაძლებელი იქნებოდა დაეარსებინათ კიდევ  
ეს ახალი საკათოლიკო ეკლესიის წყო-  
ბილება ქვენვამი. მის წევრების რიცხვი და-  
საწყისში ცოტა იყო, მაგრამ ეხლა 300 მეტია  
და თან და თან მატულობს, განსაკუთრე-  
ბით მას აქვთ, რაც მართებლობის მოქმედე-  
ბაც მათკენ არის და ახალი კანონი სულ თი-  
თქმის მათ სასარგებლოთ არის გამოცემუ-  
ლი, ან უკეთა ვათქვათ იქნება გამოცემული,  
თუ ხალხმა მიიღო. ამ წრემ, არ იქნება დი-  
დი ხანი, რაც ჰიაცინტა (Hyacinth) სხვა-  
აქ მოსვლა და ქადაგება; რასაკვირველია, სა-  
ქადაგებელი სხვა არა იქნება რა მის მეტი,  
რომ აქაურებს აუხსნას, რასში მდგომარეობს  
«ძველი კათოლიკების» წადილი და რამდენ-  
ათ არის საჭირო, რომ ეხლანდელი კათო-  
ლიკების ეკლესიის მდგომარეობა შეიცუ-  
ლოს. მას მოვლიან ამ მარტის განმავლო-  
ბაში. მეც მაშინდლისათვისა მაქვს იმედი უე-  
რო რიგინად გაეცნო ჩვენებური კათოლი-  
კები, თუ რასში მდგომარეობს ეს ძველი კ-  
თოლიკების წყობილება ჰიაცინტი თითონ  
ერთი პირველ მოთავეთაგანი არის ამ მოძრა-  
ობისა და უსათუოდ ვრცლად და ნათლად  
დაგეანაგებს ამ მოძრაობის აზრსა და მიმარ-  
თულებას.

საფრანგეთი

ფრანკო-სუბიეგის თანამართლებლობას ისე არაფერ...

ამ უკანასკნელ დროს გაზეთებში და საზოგადოებაში...

როდესაც მეორე დღეს საფრანგეთის გარე-შე...

სანამ ამ საფრანგეთისათვის სასიამოვნო ა...

ესპანია

ძალიან ძნელი საქმეა სწორი აზრის შედგენა...

მარტის პირველს ესპანიის ნაციონალურ კრებას...

ყველაზე უფრო შესანიშნავი და ყურადღების...

სამართალი

ბობროვნიკოვის (დონცის) საქმე მოსკოვის ოლქის სასამართლოში

ამ თვის 1, 2, 3 და 4-ს მოსკოვის ოლქის სასამართლოში...

ამ თვის 1, 2, 3 და 4-ს მოსკოვის ოლქის სასამართლოში...

აფიკრატ და შერიტო ცოლი. იმავე წელს ეკატერინოსლავის პალატაში შევიდა სამსახურში...

მისის ექვს ლოცვამ ლუბერნატორის ბლანკზე დასწერა...

პეტერბურლიდამ ლონცი კავკასიაში წავიდა და პალატის...

რიგებულ მოსამართლესთან უკვე შედგენილი იყო...

ენილამ ის დაბრუნდა ისევე რუსეთში; ოქტომბრის 9-ს...

პროკურორი ყველა ამ დანაშაულობაში ამტყუებდა...

ნარკვი

სტამბოლში სამოსურს ენაზე ერთი წიგნი გამოვიდა...

ფრანგულად გაზეთებში იწერებოდა, რომ სავაჭრო...

ამას წინათ ტყერი ზეთ იყო თურქულ და ამ სათქმელად...

თუბურქლის 28-ს იტალიის სოფლის მფლობელის ქალაქში...

ყოველ წელიწადს, თუბურქლის ორს, ნიუ-იორკში არის...

ბურღინში ისეთი რკინის გზის გამართვის ჯამით...

ერთს ამრავალს ისეთი დამოკიდებული მოუგონია, რომ...